

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“
დამხმარე სტრუქტურული ერთეულის – პროექტების მართვის სამსახურის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ – „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“) პროექტების მართვის სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დაწესებულების დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. სამსახური თავისი უფლებამოსილებისა და საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის დანიშნულებაა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ინიცირებული პროექტების, ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა;
2. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:
 - ა) სასწავლო უნივერსიტეტის ღონისძიებების/პროექტების (საჯარო ლექციები, ექსკურსიები, ფესტივალები და სხვა) დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;
 - ბ) ღონისძიებების/პროექტების განხორციელების სრული პროცესის მონიტორინგი: კონტენტის შექმნა და დახვეწა, ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სხვადასხვა ტექნიკური თუ ლოჯისტიკური საკითხების მოგვარება;
 - გ) ღონისძიების/პროექტის ფოტო/ვიდეო გადაღების კოორდინირება;
 - დ) ჩატარებული ღონისძიებების/განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მონიტორინგი;
 - ე) არსებული პროექტების განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების განხორციელება;

ვ) პროექტის საციცოცხლო ციკლის განსაზღვრა; პროექტის შინაარსის ჩამოყალიბება, პროექტის ვადების და ხარჯების შეფასება, პროექტის გეგმის შემუშავება და ოპტიმიზაცია, რისკების კონტროლი და მართვა, ხარჯების და დროის კონტროლი, შეყიდვების განხორციელება და კონტრაქტორების მოძიება/შერჩევა, პროექტის გუნდის და რესურსების მართვა; პროექტის შედეგების ანალიზი.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.